სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №11

ქალაქი ბათუმი 20 იანვარი 2014 წელი

ერთის მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის (შემდგომში „შემსყიდველი"), უფროსის მერაბ ნაგერვაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „EMI"-ს დირექტორის ბადრი მანველიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება" – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7. „ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაცია" – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებული და მათ მიერ დამოწმებული „ინფორმაცია ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ" (ფორმა N3), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას შემსყიდველს მიაწოდოს სტეპლერები (CPV 30124400), საოფისე მარაგი (CPV 30192000), ფანქრები (CPV 30192130), საკანცელარიო ნივთები (CPV 30192700), საწერი ქაღალდი (CPV 30197620) , ჭიკარტები (CPV 30197120), ქაღალდის სკრეპები (CPV 30197220), ქაღალდი შენიშვნებისათვის (CPV 30199720), ბლოკნოტები (CPV 22816100), ბაინდერები (CPV 22851000), საქაღალდეები (CPV 22852000), ფაილები (CPV 22852100), სახაზავები (CPV 39292500).

2.2. საქონლის ზუსტი დასახელება და რაოდენობა განსაზღვრულია ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაციით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 653,35 (ექვსასა ორმოცდაცამეტი და 35) ლარს.

3.2. საქონლის ერთეულის ღირებულება განსაზღვრულია ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაციით.

3.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი განსაზღვრულია ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაციით.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირი.

5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილია ადმინისტრაციული, სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების სპეციალისტი (სამეურნეო ნაწილში) დიმიტრი სურმანიძე.

5.3. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიწოდებული საქონლის რაოდენობის და ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.4. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.
5.5. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.
5.6. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები, დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.
6.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 5.3. მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად შევსებული სასაქონლო ზედდებულის ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილ სასაქონლო ზედდებულზე ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

7. გარანტია

7.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდებული საქონლის ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს და საერთაშორისო სტანდარტებს.
7.2. 7.1. პუნქტში აღნიშნული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
8.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს დეპარტამენტის უფლებამოსილი წარმომადგენელი.
8.3. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით – საქონლის მიწოდების პროცესში, ისე მისი დამთავრების შემდგომ, მიღება-ჩაბარებისას.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1 პროცენტის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია

დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების მესრულების შეუძლებლობის შესახებ.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
10.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.
10.4. 10.3. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
10.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3. ხელშეკრულების 12.1 მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.
12.4. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს 12.1. მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
12.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.
14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები

მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14.4. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14.5. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

14.6. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგ ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

აჭარის არ განათლების, კულტურისა
და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო
დაწესებულება სპორტისა და ახალგაზრდობის
საქმეთა დეპარტამენტი
ლადო გუდიაშვილის ქ N4
ს/კ 245631400
ს.ს. „ლიბერთი ბანკი"
მფო LBRTGE22
ა/ა № GE88LB0121162303587000

მიმწოდებელი:

შპს „EMI"
დირექტორი ბადრი მანველიძე

საქართველო, ქ.ბათუმი ანგისის ქ N 31
ს/კ 445389393
ს.ს. „პროკრედიტ ბანკი"-ს
ბათუმის ფილიალი
მფო MIBGGE22
ა/ა № GE27PC0343600100013008

დეპარტამენტის უფროსი
მერაბ ნაგერვაძე

დირექტორი ბადრი მანველიძე

ინფორმაცია

ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ

ფორმა №3

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ თანხა (ლარი)	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადა
1	მაკრატელი	ცალი	5	0.7	3,5	ქ. ბათუმი	2014 წლის 1 მარტამდე
2	საწერი კალამი	ცალი	10	0.50	5	ქ. ბათუმი	2014 წლის 1 მარტამდე
3	მოსანიშნი მარკერი	ცალი	1	2,5	2,5	ქ. ბათუმი	2014 წლის 1 მარტამდე
4	ბლოკნოტი	ცალი	3	5,5	16,5	ქ. ბათუმი	2014 წლის 1 მარტამდე
5	საწერი კალამი	ცალი	50	0,35	17,50	ქ. ბათუმი	2014 წლის 1 მარტამდე
6	დირაკოლი	ცალი	1	20	20	ქ. ბათუმი	2014 წლის 1 მარტამდე
7	მასანიშნი ფურცელი	ცალი	3	2,65	7,95	ქ. ბათუმი	2014 წლის 1 მარტამდე
8	საკანცელარიო სამაგრი	ცალი	12	0.35	4.2	ქ. ბათუმი	2014 წლის 1 მარტამდე
9	ჭიკარტი ფერადი	ცალი	3	0,5	1,5	ქ. ბათუმი	2014 წლის 1 მარტამდე
10	სკრეპი	ცალი	10	0.8	8	ქ. ბათუმი	2014 წლის 1 მარტამდე
11	საკანცელარიო სამაგრი	ცალი	12	0,15	1,8	ქ. ბათუმი	2014 წლის 1 მარტამდე
12	ბლოკნოტი	ცალი	2	4,8	9,6	ქ. ბათუმი	2014 წლის 1 მარტამდე
13	მასანიშნი ფურცელი	ცალი	16	1,5	24	ქ. ბათუმი	2014 წლის 1 მარტამდე
14	ბლოკნოტი	ცალი	10	5	50	ქ. ბათუმი	2014 წლის 1 მარტამდე
15	პაპკა 2 ყდით	ცალი	5	2	10	ქ. ბათუმი	2014 წლის 1 მარტამდე
16	საქაღალდე პაპკა	ცალი	4	1.6	6,4	ქ. ბათუმი	2014 წლის 1 მარტამდე
17	სკრეპი	ცალი	10	0.3	3	ქ. ბათუმი	2014 წლის 1 მარტამდე
18	სახაზავი	ცალი	2	0,25	0,5	ქ. ბათუმი	2014 წლის 1 მარტამდე
19	საწერი ქაღალდი	ცალი	50	6	300	ქ. ბათუმი	2014 წლის 1 მარტამდე

20	წებო მშრალი	ცალი	3	0,4	1,2	ქ. ბათუმი	2014 წლის 1 მარტამდე
21	ფანქარი	ცალი	12	0,10	1,2	ქ. ბათუმი	2014 წლის 1 მარტამდე
22	ბაინდერი	ცალი	30	2,5	75	ქ. ბათუმი	2014 წლის 1 მარტამდე
23	ფაილი	ცალი	20	3	60	ქ. ბათუმი	2014 წლის 1 მარტამდე
24	წებოვანი ფურცელი	ცალი	12	1	12	ქ. ბათუმი	2014 წლის 1 მარტამდე
25	საკანცელარიო სარჭი	ცალი	60	0,2	12	ქ. ბათუმი	2014 წლის 1 მარტამდე
სულ					653,35		

შემსყიდველი

მიმწოდებელი

მიღება- ჩაბარების აქტი

ქ. ბათუმი 27 იანვარი 2014 წ.

ჩვენ, ერთის მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის უფროსს მერაბ ნაგერვაძესა და მეორეს მხრივ შპს „EMI"-ს დირექტორს ბადრი მანველიძეს შორის 2014 წლის 20 იანვარს გაფორმდა №11 ხელშეკრულება, რის საფუძველზეც ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობით ბადრი მანველიძემ მიაწოდა შემდეგი სახის საქონელი:

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ თანხა (ლარი)
1	ბაინდერი	ცალი	23	2,5	57,50

ხოლო დეპარტამენტის ადმინისტრაციული, სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა დიმიტრი სურმანიძემ მიიღო აღნიშნული საქონელი სულ თანხით 57,50 (ორმოცდაჩვიდმეტი და 50) ლარი.

რასაც ვადასტურებთ და ხელს ვაწერთ.

ჩააბარა: ბადრი მანველიძე

ჩაიბარა: დიმიტრი სურმანიძე

მიღება- ჩაბარების აქტი

ქ. ბათუმი 24 იანვარი 2014 წ.

ჩვენ, ერთის მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის უფროსს მერაბ ნაგერვაძესა და მეორეს მხრივ შპს „EMI"-ს დირექტორს ბადრი მანველიძეს შორის 2014 წლის 20 იანვარს გაფორმდა №11 ხელშეკრულება, რის საფუძველზეც ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობით ბადრი მანველიძემ მიაწოდა შემდეგი სახის საქონელი:

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	სულ თანხა (ლარი)
1	მაკრატელი	ცალი	5	0,7	3,5
2	საწერი კალამი	ცალი	10	0,50	5
3	მოსანიშნი მარკერი	ცალი	1	2,5	2,5
4	ბლოკნოტი	ცალი	3	5,5	16,5
5	საწერი კალამი	ცალი	50	0,35	17,50
6	დირაკოლი	ცალი	1	20	20
7	ჩასანიშნი ფურცელი	ცალი	3	2,65	7,95
8	საკანცელარიო სამაგრი	ცალი	12	0,35	4,2
9	ჭიკარტი ფერადი	ცალი	3	0,5	1,5
10	სკრეპი	ცალი	10	0,8	8
11	საკანცელარიო სამაგრი	ცალი	12	0,15	1,8
12	ბლოკნოტი	ცალი	2	4,8	9,6
13	ჩასანიშნი ფურცელი	ცალი	16	1,5	24
14	ბლოკნოტი	ცალი	10	5	50
15	პაპკა 2 ყდით	ცალი	5	2	10
16	საქაღალდე პაპკა	ცალი	4	1,6	6,4
17	სკრეპი	ცალი	10	0,3	3
18	სახაზავი	ცალი	2	0,25	0,5
19	საწერი ქაღალდი	ცალი	50	6	300
20	წებო მშრალი	ცალი	3	0,4	1,2
21	ფანქარი	ცალი	12	0,10	1,2
22	ბაინდერი	ცალი	7	2,5	17,50
23	ფაილი	ცალი	20	3	60
24	წებოვანი ფურცელი	ცალი	12	1	12
25	საკანცელარიო სარჭი	ცალი	60	0,2	12

ხოლო დეპარტამენტის ადმინისტრაციული, სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა დიმიტრი სურმანიძემ მიიღო აღნიშნული საქონელი სულ თანხით 595, 85 (ხუთას ოთხმოცდათხუთმეტი და 85) ლარი.

რასაც ვადასტურებთ და ხელს ვაწერთ.

ჩააბარა: ბადრი მანველიძე

ჩაიბარა: დიმიტრი სურმანიძე

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0098993442

2	24/01/2014	3	15:43:40
(თარიღი (რიცხვი, თვე, წელი))		(დრო (საათი, წუთი))	

(დღგ-ს გადამხდელი)

4	შპს EMI	445389393	5	აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქეიფრწყალო დაწესებულება-სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი	245631400
(გამგზავნის (გამცემის) დასახელება (სრული) და ფორმა)		(გადამხდელის (გამცემის) საიდენტიფიკაციო ნომერი)	(მიმღების (მფლობელის) დასახელება (სრული) და ფორმა)		(გადამხდელის (მიმღების) საიდენტიფიკაციო ნომერი)

6	ოპერაციის მახასიათებელი	ტრანსპორტირებით	7 ქ.ბათუმი, ანგისის ქუჩა N31; პროკრედიტბანკი-GE27PC0343600100013008, კ294040

(ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი))

8	ქ.ბათუმი, გელა სამეცილის 4

(ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი))

9	საზოგადოებრივი ტრანსპორტი	10 X		
(ტრანსპორტირების სახე)		(საერთაშორისო საუფლებამოსილებო ნომერი)		(ნომერი)

11	საერთაშორისო საუფლებამოსილების ძალოსანის პირადი ნომერი	X	12 გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი

(ციფრებით)

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	"საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი"	საქონლის ფასი"*
1	ფაილი (შეკვრა) (08311)	08311	ცალი	20.0000	3.0000	60.0000
2	სანექსი ქაღალდი A-4 (1010) შეკვრა	1010	შეკვრა	50.0000	6.0000	300.0000
3	ბლოკნოტი (8579)	8579	ცალი	1.0000	5.5000	5.5000
4	ბლოკნოტი (8575)	8575	ცალი	2.0000	4.8000	9.6000
5	ბლოკნოტი (8577)	8577	ცალი	2.0000	5.5000	11.0000
6	ბლოკნოტი ყოველდღიური	1357	ცალი	10.0000	5.0000	50.0000
7	დირაკილი 7452	7452	ცალი	1.0000	20.0000	20.0000

13	595.85 - ხუთასი ოცდაცამეტი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი

(მიწოდებული საქონლის ჩამოთვლა ციფრებით და სიტყვიერად)

14		15	
(გამოდგენილი (გამგზავნის) საქონლის ჩამონათვალზე ეფექტიანობისა (ამასრულებლობა, ფასები და ვალუტა))		(მიღებული (მიმღების) საქონლის ჩამონათვალზე ეფექტიანობისა (ამასრულებლობა, ფასები და ვალუტა))	

16		17	
(ხელმოწერა)		(ხელმოწერა)	

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	24/01/2014	15:59:00
		(თარიღი (რიცხვი, თვე, წელი))	(დრო (საათი, წუთი))

19

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზიან საქონელზე. დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი*
8	მაკრატელი	8918	ცალი	5.0000	0.7000	3.5000
9	საწერი კალამი	8952	ცალი	10.0000	0.5000	5.0000
10	მშრალი წმენდა 23 ფრ	8828	ცალი	3.0000	0.4000	1.2000
11	საწერი კალამი 7747	7747	ცალი	50.0000	0.3500	17.5000
12	პაპკა 2 ყდით (632)	632	ცალი	5.0000	2.0000	10.0000
13	საქალალდე პაპკა	8750	ცალი	4.0000	1.6000	6.4000
14	მოსაბეჭდი მარკერი	8810	ცალი	1.0000	2.5000	2.5000
15	საკანცელარიო სარჭი(8231)	8231	ცალი	12.0000	0.1500	1.8000
16	საკანცელარიო შპილკა (6960)	6960	ცალი	12.0000	0.3500	4.2000
17	საკანცელარიო შპილკა	8819	ცალი	60.0000	0.2000	12.0000
18	ჰიკარტი ფერადი (1839)	1839	ცალი	3.0000	0.5000	1.5000
19	ჩასაბეჭდი ფუნქციანი (მეკვრა) (8245)	8245	ცალი	3.0000	2.6500	7.9500
20	სკოჩი 7446	7446	ცალი	10.0000	0.8000	8.0000
21	სკოჩი (მეკვრა) (08303)	08303	ცალი	10.0000	0.3000	3.0000
22	სახაზავი(2974)	2974	ცალი	2.0000	0.2500	0.5000
23	ჩასაბეჭდი ქაღალდი ქაღალდის კოლოფით (6555)	6555	ცალი	16.0000	1.5000	24.0000
24	წებოვანი ფუნქციანი მაგიდის (547)	547	ცალი	12.0000	1.0000	12.0000
25	მაინდერი 8525	8525	ცალი	7.0000	2.5000	17.5000
26	ფანქარი (აბრალი) 7697	7697	ცალი	12.0000	0.1000	1.2000

13	595.85 - ხუთას ოთხმოცდათხუთმეტი ლარი და ოთხმოცდაცხრამეტი თეთრი

(მიწოდებული საქონლის თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

14	

(ამოიღებელი დარეზერვებული/საჩუქრად/ჩამორთმეული/ფასდაკლებული ფასი)
(ფასდაკლების სახელწოდება)

15	

(ბოდეული მიბმული/საქონლის ბიუჯეტზე უფასოდ/ფასდაკლებული ფასი (ფასდაკლების სახელწოდება)

16	

(ხელშეწყობა)

17	

(ბენეფიციარი)

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	24/01/2014	15:59:00

(ფორმის (რიცხვი) თვე) (წელი) (დრო (საათი) წუთი)

19.1	

(*) ფასები - დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე: დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი: 28/01/2014 09:52:50

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0099326791

2	27/01/2014	3	16:54:15

4	836 EMI	445389393	5	ავტორის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქველმოქმედო დაწესებულება-სპორტის და ახალგაზრდების საქმეთა დეპარტამენტი	245631400

6	ტრანსპორტირების ბირითადი	ტრანსპორტირების გარეშე

7	ქ ბათუმი, აბაშიძის ქუჩა N31; კრედიტბანკი-GE27PC0343600100013008; ტ294040
8	X

9		10	X	

11	ტრანსპორტირებულ საშუალებაში ტვირთი ბოქსური	X	12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	მყიდველი 0

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	* საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ღირებ
1	ბარნდერი 6525	6525	ცალი	23.0000	2.5000	57.5000

13	57.5 - ორმოცდაშვიდმეტი ლარი და ორმოცდათი თეთრი

14		15	

16		17	

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	28/01/2014	09:26:00

19	

* ველს ს გადამხდელისათვის ველს ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, ველს ს და აქციზის ჩათვლით

ამონაწერის თარიღი: 28/01/2014, 09:53:20